ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

ეთიკის კომისიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე: გია ტაბლიაშვილი

კომისიის წევრი: ანა ხურციძე

კომისიის წევრი: ანა ლორია

კომისიის წევრი: თორნიკე ბაქრაძე

კომისიის წევრი: მარიკა არევაძე

კომისიის წევრი: ქეთევან უტიაშვილი

კომისიის წევრი: ხათუნა ჩხაიძე

კომისიის წევრი: კონსტანტინე გელაშვილი

კომისიის წევრი: ია გაბედავა

კომისიის წევრი: არჩილ ჩოფიკაშვილი

კომისიის წევრი: ბესარიონ ბოხაშვილი

კომისიის წევრი: ირაკლი კორძახია

საჩივრის ავტორი: ც. ბ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: თ. ქ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 26.11.2015

საჩივრის რეგისტრაციის №086/15

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. გ.-ს მიმართ /სიითი№/

ადვოკატის წარმომადგენლები: მ. ძ. /სიითი N/, თ. ს. /სიითი N/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. გ.-სათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2015 წლის 26 ნოემბერს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მოქალაქე ც. ბ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. გ.-ს მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2012 წლის ივნისში მისმა მეზობელმა ბ. გ.-მ გაუყიდა ფართი და მიწა, ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო დავაში ბ. გ.-ს ინტერესებს წარმოადგენს ადვოკატი ნ. გ.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2015 წლის ნოემბრის თვეში მისმა ნაცნობმა ე. ბ. ადვოკატ ნ. გ. საქალაქო სასამართლოს კონვერტით მიიღო გზავნილი, რომელშიც იდო მისი და ე. ბ.-ს ფოტო შეურაცმხყოფელი ტექსტით: ,,სხვების ქონებაზე მონადირენი, მტაცებლები, უფრთხილდით, ეს ადამიანები საშიშია, რადგან ცხოვრობენ სხვათა ცხოვრების დანგრევის გეგმებით და თავისი ცხოვრება თავზე ენგრევათ, ცხოვრობენ სხვების სახელის გატეხვაზე და თავისი სახელი უტყდებათ, ცხოვრობენ სხვების რეპუტაციის შელახვაზე და იმიჯის დაცემაზე და თავისი არ გააჩნიათ, გეშინოდეთ ყველას და გეცოდებოდეთ ყველას, რას იზამთ, ასეთებიც უნდა აიტანოთ, რადგან ამ საზოგადოებაში ცხოვრობენ და ხომ არ დავხოცავთ, როგორი ხორცმეტებიც არ უნდა იყვნენ ამ საზოგადოების? სამწუხაროდ, საზოგადოების შემარცხვენელი ჭორიკანებიც ამ საზოგადოების განუყოფელი ნაწილია და გიტანთ, მაგრამ შორს ვართ თქვენგან და ვერ ეგუებით? თქვენ ხომ ეს საზოგადოება არ გიყვართ და რას ელით ამ ცხოვრებისგან?“

1.4 საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ ის და ე. ბ. პირველი კლასიკური გიმნაზიის წინ სკამზე ისხდნენ და საუბრობდნენ როდესაც მათ შეამჩნიეს, რომ ბავშვები - 2 გოგო და ერთი ბიჭი, დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში ერთმანეთს სურათებს უღებდნენ და ეს სურათიც მაშინ არის გადაღებული. საჩივრის ავტორის განმარტებით, შემდეგ ფოტო თანდართული ტექსტით ნ. გ.-მ ფოსტის მეშვეობით გაუგზავნა ე. ბ.-ს და მის შვილს - ხ. ლ.-ს.

1.5 საჩივრის ავტორმა 2016 წლის 28 სექტემბერს ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე განაცხადა, რომ როდესაც ის მივიდა ე. ბ.-ს სახლში, კონვერტი უკვე გახსნილი იყო ადრესატის მიერ.

1.6 2016 წლის 21 დეკემბერს ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა კომისიას წარმოუდგინა 2 კონვერტის დედანი, პირველი კონვერტის გარეკანზე მითითებულია ვისგან - ნ. გ. ვის - ხ. ლ.-ს, მეორე კონვერტში ვისგან - დ. გ. ვის - ე. ბ.-ს. დ. გ. არის ნ. გ.-ს ძმა. საჩივრის ავტორის განმარტებით, ორივე კონვერტში იდო იდენტური დოკუმენტი - ფოტო თანდართული შეურაცხმყოფელი ტექსტით და ორივე კონვერტი ადრესატთან ერთ დღეს მივიდა.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ნ. გ.-ს არაეთიკური საქციელის გამო უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

1.8 ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობის 2018 წლის 12 მარტის, 22 მარტისა და 11 აპრილის სხდომაზე საჩივრის ავტორმა ც. ბ.-მ განმარტა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები ადასტურებს ადვოკატ ნ. გ.-ს მიერ სადაო წერილის გააგზავნის ფაქტს. ასევე, საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა ადვოკატმა თ. ქ.-მ განმარტა, რომ მათ აქვთ ინფორმაცია, რომ წერილი ფოსტაში ნ. გ.-ს სახელით მიიტანა მამაკაცმა.

2. საჩივრის ავტორის მოწმე ე. ბ.:

2.1 საჩივრის ავტორის მოწმემ ე. ბ.-მ ეთიკის კომისიის 2018 წლის 11 აპრილის სხდომაზე განმარტა, რომ მას ნ. გ. პირადი ურთიერთობა აქვს 1997 წლიდან, ადვოკატმა ის მოატყუა და მისი ქონება მიითვისა.

2.2 მოწმის განმარტებით, მან და ც. ბ.-მ ერთმანეთი გაიცნეს 2015 წელს, ც. ბ. დაუკავშირდა ტელეფონის საშუალებით და მოახსენა თავისი ვინაობა, შემდეგ შეხვდნენ ე. ბ.-ს სახლში და მან ადვოკატ ნ. გ.-ს საქმიანობის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

2.3 მოწმის განცხადებით, ის და ც. ბ. პირველი კლასიკური გიმნაზიის წინ ისხდნენ სკამზე, როდესაც სკოლიდან გამოვიდნენ ბავშვები და რადგან უწინდელი ნაცნობობიდან გამომდინარე იცნობდა ადვოკატ ნ. გ.-ს შვილს, მან ამ ბავშვებში შეიცნო ნ. გ.-ს შვილი და ძმისშვილი, თუმცა მაშინ ამ ფაქტისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ე. ბ.-ს განმარტებით, ამის შემდეგ მან კურიერის მეშვეობით ჩაიბარა კონვერტი, რომელშიც იდო მისი და ც. ბ.-ს სურათი ტექსტით. მოწმის განმარტებით, მან ამ ფაქტის შესახებ აცნობა ც. ბ.-ს. ეთიკის კომისიის შეკითხვაზე დაინახა თუ არა მოწმე ე. ბ.-მ, რომ სწორედ ნ. გ.-ს შვილმა ან მისმა თანმხლებმა პირმა გადაუღო მათ სურათი, მოწმემ განმარტა, რომ არ დაუნახავს, ყურადღება არ მიუქცევია იმ მომენტში.

2.4 მოწმის განცხადებით, კონვერტის მიღების შემდეგ ის მივიდა ფოსტაში და აიღო მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ეს კონვერტი მასთან გააგზავნა ადვოკატმა ნ. გ.-მ.

2.5 მოწმის განცხადებით, მის შვილს ხ. ლ.-ს, რომელმაც ანალოგიური კონვერტი მიიღო, მასსა და ნ. გ.-ს შორის სასამართლო დავაში ჰქონდა მოწმის სტატუსი.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 2015 წლის 14 დეკემბერს ადვოკატმა ნ. გ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ ეთიკის კომისიამ ც. ბ.-ს საჩივარი არ უნდა მიიღოს განსახილველად.

3.2 ადვოკატის განცხადებით, მომჩივანის მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ ფოტოსურათთან და კონვერტთან არანაირი შეხება არ აქვს, თავად მასაც მიუვიდა ეს ფოტო და გაუგზავნა პროკურატურას იმის გამო, რომ ეს პირები შეთქმულებას აწყობენ.

3.3 ადვოკატმა 2015 წლის 17 დეკემბრის წერილობით ახსნა განმარტებაში მიუთითა: ,,კვლავ ავღნიშნავ, რომ აღფრთოვანებული ვარ ამ მინაწერით, რომლიც ზუსტად შეესაბამება ამ პირების მონაცემებს, რაც კარგი მიგნებაა, მე რაც ვიცი იმ საქმეებიდან მინაწერი ადვილად გავიგე.“

3.4 ადვოკატის წარმომადგენლებმა მ. კ.-მ და ც. ა.-მ 2016 წლის 08 აპრილის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტეს, რომ მათსა და ც. ბ.-ს შორის მართლაც მიმდინარეობს სასამართლო დავა და მოსარჩელე ც. ბ. ითხოვს მათ მარწმუნებელზე - ბ. გ. გაცემული სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობასა და ბ. გ.-ს და ქ. ჯ.-ს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობას.

3.5 ადვოკატის წარმომადგენლის მ. კ.-ს განცხადებით, ადვოკატი ნ. გ. უთითებს, რომ მას არაერთი გზავნილი აქვს გაგზავნილი ე. ბ. და ხ. ლ. თავისი თანამშრომლების და ახლობლების მეშვეობით. პირადად არასოდეს მისულა ფოსტაში რაიმე სახის წერილის გასაგზავნად, მით უმეტეს იმ შინაარსის კონვერტის, რაც ეთიკის კომისიაშია წარმოდგენილი, მან ფოსტის მისამართიც კი არ იცის. მ. კ.-ს განმარტებით, ზოგადად, როდესაც ისინი აგზავნიან რაიმე სახის კონვერტს, კონვერტი არის ჩვეულებრივი, თეთრი ფერის და არა სასამართლოს ის კონვერტი, რომელიც საქმეშია წარმოდგენილი.

3.6 ადვოკატის განცხადებით, დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი საქართველოს ფოსტის 2015 წლის 07 დეკემბრის N წერილით არ დასტურდება, რომ სადავო კონვერტი პირადად მისი გაგზავნილია. ადვოკატ ნ. გ.-ს განმარტებით, მას ფოსტით რაიმე სახის დოკუმენტი არ გაუგზავნია ც. ბ.-ს და საქმეში არაა წარმოდგენილი დოკუმენტი, რომ ის ფოსტაში ამ გზავნილის გაგზავნაზე ხელს აწერს.

3.7 ადვოკატის წარმომადგენლებმა 2016 წლის 28 სექტემბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე განმარტეს, რომ საპროცესო კოლეგიას არ უნდა გაეზიარებინა მოწმე ე. ბ.-ს პოზიცია, რადგან ის არის დაინტერესებული პირი, მხარეთა შორის არსებულ სამოქალაქო დავაში.

3.8 ადვოკატის წარმომადგენელთა განმარტებით, რადგან ადვოკატი ნ. გ. მხარეთა შორის დავაში წარმოადგენს როგორც პირად, ასევე კლიენტის ინტერესებს, მას საჩივრის ავტორთან და ე. ბ. არაერთი კორესპოდენცია აქვს გაგზავნილი, თუმცა ჩვეულებრივი თეთრი კონვერტით და არა კონვერტით სასამართლოს ლოგოთი. ადვოკატის წარმომადგენელთა განცხადებით, ადვოკატ ნ. გ. არც თავად გაუგზავნია საქმეში არსებული კონვერტი ე. ბ.-ს და არც არავისთვის დაუვალებია ასეთი კონვერტის გაგზავნა.

3.9 ადვოკატის წარმომადგენელთა განმარტებით, საქმეში წარმოდგენილია 2016 წლის 12 აპრილის პასუხი ადვოკატ ნ. გ.-ს წერილზე, სადაც წერილში გამგზავნად მითითებულია ნ. გ. რეესტრის ნომერია N, თარიღი 11.10.2015, ეს დოკუმენტი არ ადასტურებს, რომ წერილი ნ. გ.-მ გააგზავნა, გამგზავნად შესაძლოა ნებისმიერი პირი ეწეროს; გარდა ამისა ასევე არ დასტურდება, რომ კონვერტში სადავო ფოტო იდო თანდართული ტექსტით.

3.10 ადვოკატის წარმომადგენელთა განმარტებით, საჩივრის ავტორმა თავად შექმნა ეს დოკუმენტი, რადგან ადვოკატ ნ. გ. აქვს პირადი ინტერესი, მან წააგო პირველი ინსტანციის სასამართლოში დავა და სურს მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის დაზარალება.

3.11 ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობის 2018 წლის 12 მარტის, 22 მარტის, 11 აპრილისა და 01 მაისის სხდომაზე ადვოკატის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც უტყუარად დაადასტურებს, რომ კონვერტი გაგზავნილია ადვოკატ ნ. გ.-ს მიერ ე. ბ. და ხ. ლ. და კონვერტში ნამდვილად სადაო სურათები იყო შეურაცხმყოფელი ტექსტით.

4. ადვოკატის მოწმე გ. ბ.:

4.1 ადვოკატ ნ. გ.-ს მოწმემ ეთიკის კომისიის 2018 წლის 22 მარტის სხდომაზე განმარტა, რომ ის წლებია იცნობს ე. ბ.-ს, ისინი ორივენი იყვნენ ადვოკატ ნ. გ.-ს კლიენტები. მოწმის განმარტებით, ნ. გ.-მ ე. ბ.-ს უარი უთხრა ერთ საქმეზე ყოფილიყო მისი წარმომადგენელი, როგორც ჩანს ამის გამო ე. ბ. განაწყენდა და ეს ჩაიდო გულში. მოწმის განცხადებით, ნ. გ. მას და ე. ბ.-ს ენდო - ბინა გააფორმა მათ სახელზე, თუმცა ე. ბ.-ს ამ ბინის დაბრუნება აღარ უნდოდა ნ. გ.-სათვის, რის გამოც მათ შორის მოხდა უთანხმოება და ამ ეტაპზე აქვთ დაძაბული ურთიერთობა. მოწმე გ. ბ.-ს განცხადებით, ბინა რა თქმა უნდა დაუბრუნდა ნ. გ.-ს.

4.2 გ. ბ.-ს განმარტებით, მასთან დარეკა როგორც ე. ბ.-მ, ასევე ც. ბ.-მ; ე. ბ. მას უთხრა, რომ დამდგარიყო მათ მხარეს და შეეგროვებინათ ნ. გ.-ს წინააღმდეგ მეზობელთა ხელმოწერები. მოწმის განმარტებით, ე. ბ. ნ. გ.-ს ბინას ართმევდა და მისგან ასეთი ფორმით წერილის თავისი თავისათვის გაგზავნა გასაკვირი არ არის, იმ მიზნით, რომ ადვოკატ ნ. გ.-ს მიადგეს ზიანი და ის, როგორც ადვოკატი, ჩამოშორდეს მხარეთა შორის არსებულ სასამართლო დავებს.

4.3 გ. ბ.-ს განმარტებით, როდესაც ადვოკატი ნ. გ. დააკავეს, მას არაერთხელ დაურეკა ე. ბ.-მ, საათობით ესაუბრებოდა და ეუბნებოდა, რომ ნ. გ.-ს წინააღმდეგ მიმართა ეთიკის კომისიას, რომ ჩამოართმევდა ლიცენზიას და ნ. გ. ,,ჩალპებოდა ციხეში".

4.4 გ. ბ. განმარტავს, რომ პირველ სკოლასთან, პარლამენტთან, მან ნახა ც. ბ. და ე. ბ. რომლებმაც უთხრეს, რომ თავად გააგზავნეს წერილი ნ. გ.-ს სახელით და სთხოვეს გ. ბ.-ს, რომ მას ეთქვა, თითქოს ნ. გ.-მ თავისი სახელით ც. ბ. და ე. ბ.-ს გაუგზავნა წერილი. ამის შემდეგ, მოწმის განმარტებით, ც. ბ.-მ კიდევ დაურეკა მას და შეხვედრას სთხოვდა. გ. ბ.-ს თქმით, ც. ბ.-მ განუმარტა მას, რომ ეთიკის კომისიაში ადვოკატები არ დაიჯერებდნენ, რომ ადვოკატმა ნ. გ.-მ შექმნა კონვერტი, დააწერა თავისი სახელი და თავისი საწინააღმდეგო მტკიცებულება შექმნა.

5. სპეციალისტი - საქართველოს ფოსტის წარმომადგენელი ა. მ.:

5.1 ეთიკის კომისიამ თავისი ინიციატივით 2018 წლის 22 მარტის სხდომაზე მოიწვია საქართველოს ფოსტის წარმომადგენელი - ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსი ა. მ. სპეციალისტის სტატუსით, რომელმაც განმარტა, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა არ აწესრიგებს საქართველოს ფოსტის საქმიანობას, რის გამოც 2015 წლის 15 დეკემბერს, შპს საქართველოს ფოსტამ #15-01/830 ბრძანებით დაამტკიცა მათ მიერ

შემუშავებული რეგულაცია - “მომხმარებლის სახელმძღვანელო”, რასაც ექვემდებარება შპს ,,საქართველოს ფოსტის“ მუშაობა. სპეციალისტის განმარტებით, მითითებული რეგულაციები სადაო პერიოდში არ მოქმედებდა, მომხმარებლის სახელმძღვანელო ამოქმედდა 2016 წლის 1 იანვრიდან.

5.2 ა. მ.-ს განმარტებით, არსებობს შემდეგი გზავნილის ტიპები: მარტივი კატეგორიისა და რეგისტირებული ანუ პირველი კლასის გზავნილი. მიუხედავად არსებული რეგულაციებისა, რომ რეგისტრირებული კატეგორიის წერილის გაგზავნის დროს აუცილებელია წერილის წარმომდგენმა წარადგინოს თავისი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ისე როგორც 2015 წელს, ასევე 2018 წელსაც არსებობს ალბათობა იმისა, რომ წერილი ერთი პიროვნების სახელით გააგზავნოს სხვა პიროვნებამ და წერილის რეალური წარმდგენის მონაცემები არსად იყოს ასახული. სპეციალისტის განმარტებით, 2018 წელთან შედარებით, 2015 წელს გაცილებით მაღალი იყო გზავნილის სხვისი სახელით გაგზავნის ალბათობა.

5.3 სპეციალისტის ა. მ.-ს პოზიციით, 2015 წლის მდგომარეობით, არსებობდა ალბათობა იმისა, რომ საქმეში არსებული სადავო კონვერტი არ არის კონვერტის გარეკანზე ასახული გამგზავნის - ნ. გ.-ს წარდგენილი საქართველოს ფოსტის სერვის ცენტრში. ასევე, საქართველოს ფოსტაში არ არსებობს ისეთი მტკიცებულება, რომლის მიხედვითაც დადასტურდება, რომ საქართველოს ფოსტის სერვის ცენტრში წერილი მიიტანა ნ. გ.-მ.

6. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

6.1 2016 წლის 08 აპრილს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. გ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

6.2 საპროცესო კოლეგიის შეფასებით მაღალი ალბათობით დადგინდა, რომ ადვოკატ ნ. გ.-ს მიერ პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარისათვის სასამართლოს კონვერტით გაგზავნილ გზავნილში იდო შემდეგი შინაარსის წერილი ,,სხვების ქონებაზე მონადირენი, მტაცებლები, უფრთხილდით, ეს ადამიანები საშიშია, რადგან ცხოვრობენ სხვათა ცხოვრების დანგრევის გეგმებით და თავისი ცხოვრება თავზე ენგრევათ, ცხოვრობენ სხვების სახელის გატეხვაზე და თავისი სახელი უტყდებათ, ცხოვრობენ სხვების რეპუტაციის შელახვაზე და იმიჯის დაცემაზე და თავისი არ გააჩნიათ, გეშინოდეთ ყველას და გეცოდებოდეთ ყველას, რას იზამთ, ასეთებიც უნდა აიტანოთ, რადგან ამ საზოგადოებაში ცხოვრობენ და ხომ არ დავხოცავთ, როგორი ხორცმეტებიც არ უნდა იყვნენ ამ საზოგადოების? სამწუხაროდ, საზოგადოების შემარცხვენელი ჭორიკანებიც ამ საზოგადოების განუყოფელი ნაწილია და გიტანთ, მაგრამ შორს ვართ თქვენგან და ვერ ეგუებით? თქვენ ხომ ეს საზოგადოება არ გიყვართ და რას ელით ამ ცხოვრებისგან?“ შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი; მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი; მე-6 მუხლის პირველი პუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი.

7. განხილვის კოლეგიის პოზიცია:

ეთიკის კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 15 ივლისის მიწერილობით საქმე განსახილველად გადაეცა მესამე დისციპლინურ კოლეგიას. მესამე დისციპლინურმა კოლეგიამ სხდომა ჩაატარა 2016 წლის 28 სექტემბერს, ამავე წლის 21 დეკემბერს და იხელმძღვანელა რა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების" შესახებ დებულების 36-ე მუხლით, 2016 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

II სამოტივაციო ნაწილი

8. საქმის ფატობრივი გარემოებები:

8.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

8.1.1 ადვოკატი ნ. გ. არის საჩივრის ავტორის მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი მხარეთა შორის არსებულ სამოქალაქო დავაში.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

საჩივრის ავტორის 2015 წლის 26 ნოემბრის საჩივარი;

ადვოკატ ნ. გ.-ს 2015 წლის 14 დეკემბრის, 2016 წლის 11 აპრილის, განმარტება;

სასამართლოს 2015 წლის 11 დეკემბრის მოსამაზადებელი სხდომის ოქმი საქმეზე N ;

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2016 წლის 28 სექტემბრის, 2016 წლის 21 დეკემბრის, ეთიკის კომისიის მთლიანი შემადგენლობის 2018 წლის 22 მარტისა და 11 აპრილის სხდომის ოქმები.

8.1.2 ე. ბ.-მ მიიღო სასამართლოს 2 კონვერტი, ერთის ადრესატი არის თავად და მეორე კონვერტის ადრესატია მისი შვილი, ხ. ლ. პირველ კონვერტზე გამოსახულია სასამართლოს ლოგო, ქართულ ენაზე ნაბეჭდი სახით მოცემულია: ვისგან - ქ.თბილისი, ბესიკის ქ.N, ნ. გ. მისი ტელეფონი და ვის - თბილისი, ლესია უკრაინკას ქ. N, ბინა , ხ. ლ.-ს, ამ კონვერტს აქვს 2 მარკა (შემდგომში - "პირველი კონვერტი"). მეორე კონვერტზეც გამოსახულია სასამართლოს ლოგო, დათარიღებული 2015 წლის 04 მარტით. ვისგან - ქ.თბილისი, ბესიკის ქ.N9 დ. გ. ვის - ლესია უკრაინკას ქ.N, ბინა , ე. ბ.-ს (შემდგომში - "მეორე კონვერტი").

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

საქმეში წარმოდგენილი სასამართლოს კონვერტის ასლი;

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2016 წლის 28 სექტემბრის, 2016 წლის 21 დეკემბრის, ეთიკის კომისიის მთლიანი შემადგენლობის 2018 წლის 22 მარტისა და 2018 წლის 11 აპრილის სხდომის ოქმები.

8.2 საქმეში წარმოდგენილია შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებები:

8.2.1 2015 წლის ნოემბრის თვეში საჩივრის ავტორის ნაცნობს ე. ბ.-ს საქალაქო სასამართლოს კონვერტით ადვოკატმა ნ. გ.-მ გაუგზავნა გზავნილი, რომელშიც იდო ც. ბ.-ს და ე. ბ.-ს ფოტო შეურაცხმყოფელი ტექსტით. აღნიშნული გზავნილი საქართველოს ფოსტის სერვის ცენტრში მიიტანა მამაკაცმა.

ეთიკის კომისიას მოცემული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ნ. გ.-ს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ მოცემულ გარემოებებთან დაკავშირებით.

ეთიკის კომისია სადავო გარემოების გამოკვლევისას დაეყრდნო მხარეთა პოზიციებს, საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს და სპეციალისტის პოზიციას. კომისიის შეფასებით, ამ ფაქტის მტკიცების ტვირთი ეკისრება მომჩივანს. გარდა იმისა, რომ აღნიშნულს ეფუძნება მომჩივანის პრეტენზია და შეჯიბრებითობაში მოქმდებს ზოგადი პრინციპი, რომ ამტკიცებს ვინც უთითებს. ფაქტზე, ამ შემთხვევაში ადვოკატს მოუწევდა ემტკიცებინა, რომ მას არ გაუგზავნია გზავნილი. ზოგადი უარყოფის დამტკიცება კი შეუძლებელია და ამიტომაც ვერ იქნება უარყოფის მტკიცების ტვირთი ადვოკატის მხარეს. საჩივრის ავტორისა და მისი მოწმის ე. ბ.-ს განმარტებით, ე. ბ.-მ და მისმა შვილმა მიიღეს სასამართლოს კონვერტით გზავნილი, რომელშიც იდო ც. ბ.-ს და მისი ფოტო. მათი ინფორმაციით, სადავო კონვერტი ნ. გ.-ს დავალებით ფოსტაში მიიტანა მამაკაცმა. ადვოკატის განმარტებით, მას ეს კონვერტი არ გაუგზავნია ე. ბ.-ს და მისი შვილისთვის.

საქმეში წარმოდგენილია საქართველოს ფოსტის 2016 წლის 12 აპრილის N წერილი, რომლის თანახმად, შპს ,,საქართველოს ფოსტა"–ს ელექტრონულ სააღრიცხვო პროგრამაში წერილის დარეგისტრირება ხდება კონვერტის გარეკანზე ასახული მონაცემების მიხედვით და მათი მხრიდან ვერ დადასტურდება ის ფაქტი, არის თუ არა აღნიშნული წერილი უშუალოდ, პირადად ნ. გ.-ს შეტანილი თბილისის N0102 სერვისცენტრში 2015 წლის 10 ნოემბერს, ვინაიდან პროგრამაში ფიქსირდება მხოლოდ გამგზავნის სახელი და გვარი.

საქართველოს ფოსტის სპეციალისტის ა. მ.-ს შეფასებით, 2015 წლის მდგომარეობით, არსებობდა ალბათობა იმისა, რომ საქმეში არსებული სადავო კონვერტი არ არის კონვერტის გარეკანზე ასახული გამგზავნის - ნ. გ.-ს წარდგენილი საქართველოს ფოსტის სერვის ცენტრში. ასევე, საქართველოს ფოსტაში არ არსებობს ისეთი მტკიცებულება, რომლის მიხედვითაც დადასტურდება, რომ საქართველოს ფოსტის სერვის ცენტრში წერილი მიიტანა ნ. გ.-მ.

კომისიამ დაადგინა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ მტკიცდება, რომ სადავო კონვერტი ე. ბ.-ს და მის შვილს გაუგზავნა ადვოკატმა ნ. გ.-მ.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

საქართველოს ფოსტის 2016 წლის 12 აპრილის N წერილი,

შპს ,,საქართველოს ფოსტის“ სპეციალისტის პოზიცია;

ეთიკის კომისიის 2018 წლის 22 მარტისა და 11 აპრილის სხდომის ოქმები.

8.2.2 ქ.თბილისში, პირველი სკოლის წინ სკამზე დამსხდარ ე. ბ.-ს და ც. ბ.-ს ადვოკატ ნ. გ.-ს შვილმა გადაუღო ფოტო.

ეთიკის კომისიას მოცემული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ნ. გ.-ს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ მოცემულ გარემოებებთან დაკავშირებით.

საჩივრის ავტორის მოწმემ ე. ბ.-მ ეთიკის კომისიის 2018 წლის 11 აპრილის სხდომაზე განმარტა, რომ როდესაც ც. ბ. ერთად იჯდა პირველი სკოლის წინ დაინახა ადვოკატ ნ. გ.-ს შვილი, რომელსაც კარგად იცნობდა, თუმცა არ დაუნახავს ის ფაქტი, ადვოკატ ნ. გ.-ს შვილმა მას და ც. ბ.-ს გადაუღო თუ არა ფოტო. ც. ბ. განმარტავს, რომ მან დაინახა, როგორ იღებდნენ ბავშვები ფოტოებს, ამ ბავშვებიდან ერთ-ერთი კი, როგორც მას ე. ბ.-მ უთხრა, არის ნ. გ.-ს შვილი და შესაძლოა, მასსა და ე. ბ.-ს ბავშვებმა ამ დროს გადაუღეს ფოტო.

ეთიკის კომისიამ სადავო გარემოების დადგენისას გაითვალისწინა მხარეთა პოზიციები, ფაქტი, რომ ფოტოსურათზე არ არის ასახული სურათის გადაღების თარიღი, ასევე გარემოება, რომ როგორც საჩივრის ავტორმა, ასევე მისმა მოწმემ ე. ბ.-მ ვერ დაინახეს ნ. გ.-ს შვილის მიერ მათთვის ფოტოს გადაღების ფაქტი. შესაბამისად, რადგან საჩივრის ავტორმა, რომელსაც მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით აკისრია მტკიცების ტვირთი, წინა პარაგრაფში მოცემული მოსაზრების შესაბამისად, ვერ დაამტკიცა სადაო გარემოება, ეთიკის კომისიამ ვერ დაადგინა, რომ ც. ბ.-ს და ე. ბ.-ს სადავო ფოტოსურათი ნ. გ.-ს შვილმა გადაიღო.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ეთიკის კომისიის 2018 წლის 22 მარტისა და 11 აპრილის სხდომის ოქმები.

9. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, გამოკითხა მოწმეები და საქართველოს ფოსტის სპეციალისტი და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. გ.-ს მიერ არ არის ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა.

10. სამართლებრივი შეფასება:

10.1 ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. გ.-ს მიერ არ არის დარღვეული შემდეგი ნორმები:

10.1.1 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი: ,,ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით."

10.1.2 „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.''

10.2 ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ, ადვოკატი ნ. გ. ახორციელებს საჩივრის ავტორის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლობას მათ შორის არსებულ სამოქალაქო დავაში. მომჩივანს აქვს პრეტენზია, რომ ადვოკატმა სასამართლოს კონვერტში მოათავსა მისი ფოტო შეურაცხმყოფელი ტექსტით და გაუგზავნა მოქალაქე ე. ბ.-ს და მის შვილს ხ. ლ.-ს. კომისიის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ ფოსტის კონვერტი უშუალოდ მომჩივანს არ გაგზავნია, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-6 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად: ,,დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა", შესაბამისად, მოქალაქე ც. ბ. უფლებამოსილი განმცხადებელია.

10.3 ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატმა გზავნილის გაგზავნასთან მიმართებით უნდა განახორციელოს კანონმდებლობით დაშვებული და სასამართლოს მიერ დაწესებული ქმედებები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლში კონკრეტულადაა განსაზღვრულია ის შემთხვევა, როდესაც სასამართლო გზავნილს აგზავნის თავისი კონვერტით. დაუშვებელია სასამართლოს კონვერტის გამოყენება პირადი მიზნით, რაიმე სახის ინფორმაციის მიწოდებისათვის, პოზიციის გამოხატვისათვის, შეთავაზებისათვის და ა.შ., რადგან ასეთ მოქმედებას მხარე შეჰყავს შეცდომაში, მიღებული გზავნილი მხარის მიერ აღიქმება, როგორც სასამართლოსგან მიღებული ინფორმაცია.

10.4 ეთიკის კომისიამ გამოიკვლია და შეაფასა მხარეთა პოზიციები, საჩივრის ავტორის მოწმის ე. ბ.-ს განმარტება, ადვოკატ ნ. გ.-ს მოწმის გ. ბ.-ს განმარტება, შპს ,,საქართველოს ფოსტიდან" როგორც მხარეთა მიერ, ასევე კომისიის მიერ დამოუკიდებლად გამოთხოვილი ინფორმაცია სადავო კონვერტის N, 2015 წლის 10 ნოემბერს გაგზავნის ფაქტისა და გამგზავნის ვინაობის შესახებ, ასევე საქართველოს ფოსტის ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსის ა. მ. მიიღო სრული ინფორმაცია საქართველოში ფოსტის შესახებ არსებული რეგულაციებისა და პრაქტიკის თაობაზე წერილის გაგზავნის დროისათვის, ასევე სპეციალისტისაგან მიიღო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შპს ,,საქართველოს ფოსტაში" არ არსებობს ისეთი მტკიცებულების მოძიების შესაძლებლობა, რომლის მიხედვითაც დადასტურდება იმ

პიროვნების ვინაობა, რომელმაც საქართველოს ფოსტის სერვის ცენტრში 2015 წლის ნოემბერში წერილი N მიიტანა. კომისიამ საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ ვერ დასტურდება ადვოკატ ნ. გ.-ს მიერ სადაო კონვერტების ე. ბ.-ს და მისი შვილისათვის გაგზავნის ფაქტი; ასევე ვერ დასტურდება ადვოკატ ნ. გ.-ს შვილის მიერ საჩივრის ავტორისა და ე. ბ.-ს ფოტოს გადაღების ფაქტი. აქედან გამომდინარე, ეთიკის კომისია აღარ მსჯელობს ტექსტის შინაარსობრივ მხარეზე, კერძოდ, ფოტოსურათზე დართული ტექსტის შინაარსი არის თუ არა საჩივრის ავტორისათვის შეურაცხმყოფელი.

10.5 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ კომისია არ გასცდება საკითხებს, რომლებიც ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრას დაედო საფუძვლად. შესაბამისად, ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობა კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვერ შეაფასებს ადვოკატ ნ. გ.-ს მიერ 2015 წლის 17 დეკემბერს ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ წერილობით ახსნა განმარტებაში მითითებულ ფრაზას, რომელიც ადვოკატმა დააფიქსირა საქმეში წარმოდგენილი ფოტოსურათის დანართი ტექსტიდან გამომდინარე - ,,კვლავ ავღნიშნავ, რომ აღფრთოვანებული ვარ ამ მინაწერით, რომელიც ზუსტად შეესაბამება ამ პირების მონაცემებს, რაც კარგი მიგნებაა, მე რაც ვიცი იმ საქმეებიდან მინაწერი ადვილად გავიგე“ და მსგავსი შინაარსის განმარტებას, რომელიც ადვოკატმა გააჟღერა ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობის სხდომაზე 2018 წლის 22 მარტს.

10.6 ეთიკის კომისიას საქმეში არსებული მტკიცებულებების შესწავლით, მათი სამართლებრივი ანალიზით, მტკიცებულებების ერთობლიობაში შეფასებით მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. გ.-ს მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი პროფესიული ქცევის წესების დარღვევა არ დგინდება.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტით; მე-6 მუხლის პირველი პუნქტით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6, მე-7, მე-16, მე-17, 36-ე, 37-ე, 39-ე მუხლებით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №086/15 ადვოკატ ნ. გ.-ს /სიითი №/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე არ საჩივრდება.

კომისიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კომისიის წევრი:	/ანა ხურციძე/
კომისიის წევრი:	/ანა ლორია/
კომისიის წევრი:	/თორნიკე ბაქრაძე/
კომისიის წევრი:	/მარიკა არევაძე/
კომისიის წევრი:	/ქეთევან უტიაშვილი/
კომისიის წევრი:	/ხათუნა ჩხაიძე/
კომისიის წევრი:	/კონსტანტინე გელაშვილი/
კომისიის წევრი:	/ირაკლი კორძახია/
კომისიის წევრი:	/ია გაბედავა/
კომისიის წევრი:	/არჩილ ჩოფიკაშვილი/
კომისიის წევრი:	/ბესარიონ ბოხაშვილი/

ეთიკის კომისიის 2018 წლის 01 მაისის გადაწყვეტილებაზე

ამავე კომისიის თავმჯდომარის გია ტაბლიაშვილის, კომისიის წევრების ქეთევან უტიაშვილის, თორნიკე ბაქრაძის, კონსტანტინე გელაშვილის

განსხვავებული აზრი

დისციპლინურ საქმეზე N086/15 ადვოკატ ნ. გ.-ის მიმართ

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ 2018 წლის 01 მაისს ადვოკატ ნ. გ.-ის მიმართ მიიღო გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე. ვეთანხმებით აღნიშნულ გადაწყვეტილებას სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში.

ადვოკატმა 2015 წლის 17 დეკემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა განმარტება, სადაც მიუთითა: ,,კვლავ ავღნიშნავ, რომ აღფრთოვანებული ვარ ამ მინაწერით, რომლიც ზუსტად შეესაბამება ამ პირების მონაცემებს, რაც კარგი მიგნებაა, მე რაც ვიცი იმ საქმეებიდან მინაწერი ადვილად გავიგე.“ იგივე შინაარსის განმარტება გააკეთა ადვოკატმა ნ. გ.-მ ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობის სხდომაზე 2018 წლის 22 მარტს. აღნიშნული მოსაზრებები ადვოკატმა დააფიქსირა სადავო ფოტოსურათზე დაწერილ შემდეგი ტექსტიდან გამომდინარე:

,,სხვების ქონებაზე მონადირენი, მტაცებლები, უფრთხილდით, ეს ადამიანები საშიშია, რადგან ცხოვრობენ სხვათა ცხოვრების დანგრევის გეგმებით და თავისი ცხოვრება თავზე ენგრევათ, ცხოვრობენ სხვების სახელის გატეხვაზე და თავისი სახელი უტყდებათ, ცხოვრობენ სხვების რეპუტაციის შელახვაზე და იმიჯის დაცემაზე და თავისი არ გააჩნიათ, გეშინოდეთ ყველას და გეცოდებოდეთ ყველას, რას იზამთ, ასეთებიც უნდა აიტანოთ, რადგან ამ საზოგადოებაში ცხოვრობენ და ხომ არ დავხოცავთ, როგორი ხორცმეტებიც არ უნდა იყვნენ ამ საზოგადოების? სამწუხაროდ, საზოგადოების შემარცხვენელი ჭორიკანებიც ამ საზოგადოების განუყოფელი ნაწილია და გიტანთ, მაგრამ შორს ვართ თქვენგან და ვერ ეგუებით? თქვენ ხომ ეს საზოგადოება არ გიყვართ და რას ელით ამ ცხოვრებისგან?“

მიგვაჩნია, რომ როდესაც ეთიკის კომისია იხილავს საჩივარს ადვოკატის მიმართ და ეთიკის კომისიის სხდომაზე შექმნილია მძიმე ემოციური ფონი, ადვოკატი ვალდებულია თავისი გამოხატვის თავისუფლებით დაცული მოსაზრება დააფიქსიროს იმგვარად, რომ არ გამოიწვიოს მისი ქცევით უკმაყოფილო პირის - საჩივრის ავტორის პროვოცირება, გაბრაზება, გაღიზიანება. მით უმეტეს, რომ ამ შინაარსის ტექსტზე ადვოკატ ნ. გ.-ის მიერ გამოხატული მოწონება მიზნად არ ისახავდა ადვოკატის მიერ თავის დაცვას ან საჩივრის ავტორის არგუმენტების გაბათილებას.

მართალია, ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას თავისი კომპეტენციის ფარგლებში არ შეუძლია გასცდეს იმ საფუძვლებს, რომელებიც დადგენილია ადვოკატის მიმართ

დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე გადაწყვეტილებით, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ვინაიდან კერძო სარეკომენდაციო ბარათი თავისი შინაარსით არ არის სახდელი, ეს არის ადვოკატზე დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება, თავის ახსნა-განმარტებასა და კომისიის სრული შემადგენლობის სხდომაზე გაჟრეღებული ზემოთ აღნიშნული ფრაზიდან გამომდინარე, იმისათვის, რათა დამკვიდრებულ იქნეს ადვოკატის ქცევის მაღალი სტანდარტი, ადვოკატს უნდა მიემართოს რჩევით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით.

კომისიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კომისიის წევრი: /ქეთევან უტიაშვილი/

კომისიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/

კომისიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/